



გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრის ფუნქციები

- ▶ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9 საათიდან და სრულდება 19 საათზე.
- ▶ კენჭისყრის დღის 9 საათიდან კომისიის თავმჯდომარემ უნდა გადმოგვტ:
 - ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია;
 - ✓ ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები;
 - ✓ სპეციალური კონვერტები (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული ამომრჩეველების შესაბამისად);
 - ✓ დალუქული გადასატანი საარჩევნო ყუთი, რომელშიც მოთავსებული უნდა იყოს საკონტროლო ფურცელი;
 - ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილის ლუქი (საარჩევნო ყუთის ჭრილი ილუქება გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის დასრულების შემდგომ).
- ▶ ამომრჩეველთან მისვლისას სთხოვეთ მას, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.
- ▶ შეადარეთ ამომრჩევლის პირადი ნომერი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებულ პირად ნომერს.
- ▶ შეამოწმეთ წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემებისა და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული მონაცემების შესაბამისობა.

გაითვალისწინეთ! თუ ამომრჩეველთა შესაბამის სიაში საქართველოს მოქალაქის პირად ნომერთან და სქესთან ერთად, სრულად ემთხვევა სიაში არსებულ მონაცემთაგან (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი) სამი მაინც, ამომრჩეველი იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში.

- ▶ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ხელმოწერით დაადასტურეთ საარჩევნო ბიულეტენის გაცემა.
- ▶ სთხოვეთ ამომრჩეველს, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენის მიღება.

გაითვალისწინეთ! თუ კენჭისყრის პროცესში გამოვლინდა, რომ ამომრჩეველმა საარჩევნო სიაში ხელი მოაწერა სხვა ამომრჩევლის გვარის გასწვრივ არსებულ გრაფაში, ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველს, რომლის გვარის გასწვრივ ფიქსირდება ხელმოწერა, უნდა მიუთითოთ ხელი მოაწეროს იმავე გრაფაში. ამასთან, აღნიშნულის თაობაზე უნდა დაწეროთ ახსნა-განმარტება (ამომრჩევლის სახელის, გვარის და სიაში მისი რიგითი ნომრის აღნიშვნით).

- ▶ ამომრჩეველს გადაეცით ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი.
- ▶ ამომრჩევლის მიერ ბიულეტენის შევსების შემდეგ მიუთითეთ აიღოს სპეციალური კონვერტი და მოათავსოს მასში საარჩევნო ბიულეტენი.
- ▶ სთხოვეთ ამომრჩეველს, მოათავსოს სპეციალური კონვერტი გადასატან საარჩევნო ყუთში.
- ▶ კენჭისყრის დასრულების შემდეგ გადასატანი საარჩევნო ყუთის ტრილი იმგვარად დალუქეთ, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა.
- ▶ კენჭისყრის დღის არაუგვიანეს 20 საათისა გადასატანი საარჩევნო ყუთი დააბრუნეთ საარჩევნო უბანზე.
- ▶ კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ კომისიის მდივანს გადაეცით გამოუყენებელი/გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები, სპეციალური კონვერტები და კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

გაითვალისწინეთ!

- ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა მიმართ მარკირება არ გამოიყენება.
- ✓ „ფიზიკური მდგომარეობის“ გამო ამომრჩევლის მიერ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის შემთხვევაში გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ გააკეთეთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და აღნიშნული ხელმოწერით დაადასტურეთ. „ფიზიკური მდგომარეობის“ მქონე ამომრჩევლის (აგრეთვე იმ ამომრჩევლის, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის შევსება) ნაცვლად მისი თანდასწრებით საარჩევნო ბიულეტენს ავსებს, სპეციალურ კონვერტში ათავსებს და კონვერტს გადასატან საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი (გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისადა დამკვირვებლისა).
- ✓ თუ დაირღვა გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს, შეადგინეთ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით და ხელი მოაწერინეთ თანმხლებ პირებს.